პროლეტარეგო ქვეყანავ ბეეერთდით!

ЛЕЛО

№ 121 (4115)

1970 წ. 23 ივნისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს“ პრიზი — ჯ. ფხაკაძეს

გუშინწინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირის თასის — გაზეთ „იზვესტიას“ პრიზის წლევანდელი გათამაშების წინასწარი ტურნირი. თბილისის, კრასნოდარის, ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის ქალთა და ვაჟთა გუნდები იბრძოდნენ საგზურებისთვის, რომლებიც შემდეგ ეტაპში მონაწილეობის უფლებას იძლეოდნენ.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ტურნირში მასპინძლებმა იმარჯვეს. მძლეოსნებმა საქართველოს 3 ახალი რეკორდი დაამყარეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელმა ჯ. ფხაკაძემ (მწვრთნელი გ. მაიერი) უროს ტყორცნაში 59,98 მეტრი აჩვენა, რაც მისსავე ამასწინანდელ საუკეთესო შედეგს 56 სანტიმეტრით სჯობს. ფხაკაძეს გადაეცა „ლელოს“ პრიზი, რომელიც რედაქციამ საკავშირო თასის გათამაშებაში ვაჟთა შორის პირველი რეკორდსმენისთვის დააწესა.

ორი რეკორდი ქალებს ეკუთვნით. 200 მეტრზე თარჯრბენში თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა მ. ალიაკრინსკაიამ ერთი კვირის წინ 30,4 წამი აჩვენა, ახლა კი ეს მანძილი 29,6 წამში გაირბინა. მისი შედეგი რესპუბლიკის რეკორდია.

4×400 მეტრზე ესტაფეტაში კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. ფარცვანია, ლ. კორკოტაძე, ტ. ივანოვა და ლ. ჭარბაძე, საქართველოს ძველი რეკორდი (3 წუთი და 57,6 წამი) 0,8 წამით გაუმჯობესა.

(დაწვრილებითი ანგარიში უახლოეს ნომერში).

* * *

სურათზე: ჯ. ფხაკაძე „ლელოს“ პრიზით ხელში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘ

ოცამდე ქალაქისა და რაიონის სპორტსმენები მონაწილეობდნენ მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელიც თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ოთხ დღეს გაგრძელდა. ასაკობრივი დაყოფა მხოლოდ მტყორცნელთა შეჯიბრებაში მოხდა, სხვა სახეობებში კი ყველა ერთად ცდიდა ძალას, რამაც დადებითი შედეგი მოგვცა. იყო შემთხვევებიც, როცა საშუალო ასაკის მოსწავლეები უფროსებს სჯობდნენ. მაგალითად, სიგრძეზე მხტომელი გოგონების შეჯიბრებაში 14 წლის თბილისელმა გ. შმაკოვამ უკეთესი შედეგი (540 სმ) აჩვენა, ვიდრე 17 წლის საამტრედიელმა ა. კურენიამ (537).

განსაკუთრებით იმარჯვეს საქართველოს განათლების სამინისტროს № 1 სპორტსკოლა-ინტერნატის მწვრთნელის ი. გოზალიშვილის აღსაზრდელებმა. გოზალიშვილი მესამე წელია მწვრთნელად მუშაობს და, აი, ამ შეჯიბრებაში მისმა ორმა მოწაფემ პირველი თანრიგის ნორმატივი აჩვენა: დ. გიგაურმა (თბილისი) 100 მეტრზე რბენა მოიგო — 11,0, ნ. აბუაშვილმა (გარდაბანი) კი 110 მეტრზე თარჯრბენში მოსწავლეთა რესპუბლიკური რეკორდი (15,2) გაიმეორა. 100 მეტრზე რბენაში პირველი თანრიგი პირველად მოიპოვა მეორე პრიზიორმა ვ. ლოვჩიმაკი (აფხაზეთი), ოღონდ მან ეს წინასწარ გარბენში შეძლო.

ბავშვებს მაღალი შედეგებისთვის ბრძოლის სტიმული იმანაც მისცა, რომ პირველი თანრიგის ნორმატივის შესრულების შემთხვევაში გუნდებს დამატებით 7-7 ქულას აძლევდნენ. სწორედ ამის წყალობით იყო, რომ ხაშურის ნაკრებმა მეორე ჯგუფის გუნდების ტურნირში გარდაბანთან III-IV ადგილები გაიყო. ხაშურელებს 19 ქულა მისცა ბადროს მტყორცნელ გოგონებში უძლიერესმა ნ. ლაბაძემ — 44.68 მ, გარდაბნელებს კი ზემოთ დასახელებულმა აბუაშვილმა.

სიმაღლეზე მხტომელ გოგონათა ტურნირში დამაკმაყოფილებელი იყო მხოლოდ ს. ხრიპკოსა (თბილისი) და კურენიას მაჩვენებლები. ხრიპკომ (მწვრთნელი ვ. გაგუა) 160 სმ დაძლია და 2 სმ-ით გაუმჯობესა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი (მან I თანრიგიც შეასრულა), კურენიამ კი 155 სმ აჩვენა. 150 სმ რამდენიმე სპორტსმენმა დაძლია, მაგრამ მათზე არას ვამბობთ, ვინაიდან ამ სიმაღლის დაძლევა საქართველოში პრობლემაა აღარ წარმოადგენს.

ვაჟებში ისევ ბ. პრესნოვმა (თბილისი) ისახელა თავი. იგი 195 სმ სიმაღლეს გადაევლო და პირადი რეკორდი დაამყარა. მას მხოლოდ სანტიმეტრი არ ეყო ვ. უზმარსკის საშუალო ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდამდე.

ახალი რეკორდი დაამყარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელმა ი. რიმარმაც (მწვრთნელი ა. ლაკერბაია), რომელმაც ათჭიდში 6292 ქულა მოაგროვა. მას არც თანაგუნდელი მ. ალიაკრინსკაია (მწვრთნელი გ. მიროტაძე) ჩამორჩა. 200 მეტრზე თარჯრბენში მან 30,4 წამი აჩვენა და მოსწავლეთა რეკორდს დაეუფლა.

ვაღში არც ლ. ჭარბაძე (თბილისი) დარჩა. ამ უკანასკნელმა 400 მეტრზე რბენაში რეკორდი (58,6) გაიმეორა.

დამაკმაყოფილებელი იყო რვაჭიდში ონელ თ. ორდენიძის, 400 და 1500 მეტრზე რბენაში ი. კირპიჩენკოსა და ა. გოლოვინის (ორივე — აფხაზეთი), აგრეთვე, სხვა სპორტსმენთა მაჩვენებლები, მაგრამ შეჯიბრებამ ნაკლიც გამოავლინა. სასპარეზოზე ბევრი მოუმზადებელი სპორტსმენი გამოიყვანეს. მაგალითად, მხტომელ ჭაბუკთა ტურნირში საწყისი სიმაღლე ვერ აიღეს კასპის, მახარაძის, თელავის, ზესტაფონის, ონის, წალენჯიხის, ვანის, სიღნაღის, ბოდანოვკის წარმომადგენლებმა, სიგრძეზე მხტომელ გოგონათა შორის შეუფასებელნი დარჩნენ ვანის, რუსთავის, მაიაკოვსკის, ლენტეხის, ქუთაისის სპორტსმენები.

100 მეტრზე თარჯრბენში საშუალო ასაკის სპორტსმენთა შორის მარტო თბილისელი ლ. ლაბუხნაია (16,7) იბრძოდა, უფროსი ასაკის ჯგუფში კი ორი ასპარეზობდა. გაიმარჯვა ვ. მინაკოვამ (თბილისი) — 15,8. უროს ტყორცნის სექტორზე უფროსი ასაკის ორი თბილისელი გამოვიდა. გამარჯვებულმა ბ. დერჟიეკიმ 41,58 მ აჩვენა. 10 კმ სპორტულ სიარულში ვ. იუსუფოვს (ქუთაისი — 56.28,8) მეტოქე არ ჰყავდა. ჭოკით ხტომაში 4 სპორტსმენი ჩაება, 110 მეტრზე თარჯრბენში — 5, 3000 მეტრზე რბენაში — 6, 5000 მეტრზე რბენაში — 5. სხვა უფრო იოლ სახეობებში კი 40-50 მძლეოსანი ასპარეზობდა.

ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ: ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ. რბენა. 100 მ. ტ. ბელოვა (აფხაზეთი) — 12,4, თ. დრიაევა — 12,9, შმაკოვა (ორივე — თბილისი) — 13,0; 200 მ. ჭარბაძე — 26.4, ბელოვა — 26,8, ივანოვა — 26,9; 400 მ. ჭარბაძე — 58,6, ივანოვა — 1.01,2, ტ. ტესლენკო (აფხაზეთი) — 1.01,7; 800 მ. ს. ქიკაი-

(დასასრული მე-4 გვ.)

* * *

სურათზე: 110 მეტრზე თარჯრბენის მომენტი. მარცხნივ აბუაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

რეკორდებით დაიწყეს

უნგრეთის ქალაქ სომბათხეიში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ევროპის XXIX ჩემპიონატი ძალოსნობაში. ასპარეზობაში პირველნი ჩაებნენ უმჩატესი წონის ათლეტები. ამ წონით კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ღირსეგას ორი ათლეტი იცავდა: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვ. კრიშჩიშინი და ვიცე-ჩემპიონი ვ. სმეტანინი.

ბრძოლა ამჯერადაც ძირითადად საბჭოთა ძალოსნებს შორის წარმართა. მაგრამ მათ დავაში აქტიურად ჩაება უნგრელი შ. ჰოლცრაიტერი. საბოლოოდ ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა 24 წლის ლვოველმა კრიშჩიშინმა, რომელმაც სამჭიდში 340 კგ დააგროვა. ეს შედეგი 2,5 კგ-ით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს. კრიშჩიშინმა მეორე მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვარაში, როცა 130 კგ დაძლია. ვერცხლის მედალი ქვეყნის ახალი რეკორდით წილად ხვდა ჰოლცრაიტერს—327,5 კგ. ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა სვერდლოვსკელმა სმეტანინმა — 325 კგ.

მეორე დღეს ჯილდოები გაითამაშეს მჩატე წონის ათლეტებმა. ჩემპიონის ოქროს მედალი დამსახურებულად მოიხვეჭა სახელგანთქმულმა უნგრელმა ძალოსანმა, 32 წლის ი. ფიოლდიმ — 372,5 კგ. — ეს ორნახევარი კგ-ით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს. ფიოლდიმ 127,5 კგ აჭიმა, რაც აგრეთვე 2,5 კგ-ით მეტია მისსავე მსოფლიო რეკორდზე. მიუხედავად ამისა, ეს შედეგი მსოფლიო რეკორდად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან უნგრელმა ათლეტმა უარი თქვა აწონაზე.

ვერცხლის მედალი მოიპოვა გამოცდილმა პოლონელმა ძალოსანმა, 34 წლის მ. ნოვაკმა — 362,5 კგ. ბრინჯაო წილად ხვდა ნოვაკის თანაგუნდელს ვ. შოლტისეკს — 352,5 კგ.

საბჭოთა ათლეტი, მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი რ. ბელენკოვი თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა — 347,5 კგ. ჯერ კიდევ აპრილში, ვილნიუსის საკავშირო ჩემპიონატში ბელენკოვმა 10 კგ-ით უკეთესი შედეგი აჩვენა.

22 ივნისს გვიან ღამით შეჯიბრება დაასრულეს ქვემსუბუქი წონის ათლეტებმა. საბჭოთა გუნდის ღირსებას ამ წონით კატეგორიაში იცავდა მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი დ. შანიძე.

სსრ კავშირის XXVII ჩემპიონატი

ᲯᲣᲯᲣᲜ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის III წრის კალენდარული მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „ვალგირისი“ (ყაუნასი). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 80:73 (37:43).

ᲐᲛᲐᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 22 ივნისი. გუშინ აქ III წრის კალენდარული მატჩი შედგა ადგილობრივ „სპარტაკსა“ და თბილისის „ბურევესტნიკს“ შორის. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები სატურნირო ცხრილში საპირისპირო პოლუსებზე იმყოფებიან, შეხვედრა საოცრად მძაფრი და შეუპოვარი გამოდგა, რასაც ნევისპირელები, ცხადია, არ ელოდნენ. ლიდერმა ბოლოსდაბოლოს გასტეხა მეტოქის საბრძოლო სული, მაგრამ ეს მოხდა მატჩის მიწურულში, როცა თბილისელთა ძირითად შემადგენლობას „ბზარი შეეპარა“. ზანამდე კი ძნელი გამოსაცნობი იყო, თუ ვინ იზეიმებდა გამარჯვებას. შეხვედრის საბოლოო შედეგია — 63:58 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

ნევისპირელები 19 ქულით მტკიცედ ინარჩუნებენ II საფეხურს სატურნირო ცხრილში. 25 კალენდარული ბრძოლიდან მათ მხოლოდ 6 წააგეს, იმდენი, რამდენიც III საპრიზო ადგილზე მყოფმა კიევის „სტროიტელმა“ (უკრაინელებს 2 შეხვედრით ნაკლები აქვთ ჩატარებული).

თბილისის „ბურევესტნიკი“ ტერიტორიულად აუტსაიდერებს მეზობლობს, თუმცა მათ 3-3 ქულით უსწრებს. სტუდენტებს 25 მატჩის შემდეგ 7 ქულა აქვთ.

20 45

◆ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 ივნისი. მსოფლიოში სეზონის საუკეთესო დრო იქნა ნაჩვენები ინგლისის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატში. 800 მეტრზე ქალთა ფინალურ გარბენში შ. კერომ მანძილი დაფარა 2.03,6-ში. ფინიშთან მეორე იყო კ. უელში — 2.04,9, მესამე—ევროპის ჩემპიონი ლ. ბოარდი — 2.05,1.

◆ ᲚᲘᲝᲜᲘ, 22 ივნისი. „პოლ მერიკამპის მემორიალში“ ევროპის ჩემპიონატის „ვერცხლის“ პრიზიორმა ა. სარტიემ (საფრანგეთი) 100 მეტრის გარბენას 10,3 წამი მოანდომა. ასეთივე შედეგით მეორე იყო სპილოს ძვლის ნაპირის წარმომადგენელი გ. კონე.

◆ ᲓᲔ-ᲛᲝᲘᲜᲘ, 22 ივნისი. აშშ-ს სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 21 წლის რ. მენმა 440 იარდზე თარჯრბენში აჩვენა 48,8 წამი. ეს მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგია. 440 იარდზე რბენაში პირველი იყო ლ. ჯეიმსი — 45,5, 19 წლის ი. ჯონსონმა ჭოკით გადალახა 536 სმ სიმაღლე.

ᲥᲮᲐᲯᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘ

● ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲐ, 21 ივნისი. აქ გაიმართა 500-ანებით მოტოროლოსში მსოფლიო ჩემპიონატის მერვე ეტაპი. იგი მოიგო გდრ-ის წარმომადგენელმა პ. ფრიდრიხსმა. დარჩა კიდევ 4 ეტაპი და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა მსოფლიო ჩემპიონობის საკითხი. ჯერჯერობით წინაა შვედი ა. კრონგი — 72 ქულა.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 21 ივნისი. მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელმა ქალებმა უკვე მეექვსედ მოიხვეჭეს ევროპის ჩემპიონთა თასი. მათ ფინალური შეხვედრა მოუგეს ბუდაპეშტის „ნიმს“ — 3:1. პირველი მატჩიც მოსკოველების გამარჯვებით დამთავრდა — 3:1.

● ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 21 ივნისი. კუსოჩინსკის მემორიალში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა პოლონელმა სტუდენტმა ტ. სუკნევიჩმა. მან 100 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 12,8 და 0.1 წამით გაუმჯობესა კ. ბალცერის (გდრ) შარშან დამყარებული მიღწევა. 5 კილომეტრზე რბენაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა რ. კლარკმა — 13.40,8. აქ მხოლოდ მეექვსე იყო სახელგანთქმული ბელგიელი გ. რულანტსი — 14.02,6. 200 მეტრი ყველაზე სწრაფად დაფარეს პოლანდიელმა მორბენალმა ქალმა ვ. დენ ბერგმა — 22,9 და პოლონელმა ი. ვერნერმა — 20,8. მემორიალის ბოლო დღეს მოსკოველ ა. ივანოვას მიერ ნატყორცნმა ბადრომ 52,94 მ იფრინა, რიგელმა მძლეოსანმა ქალმა ს. შტულამ გაიმარჯვა 800 მეტრზე რბენაში — 2.05,1.

● ᲠᲝᲛᲘ, 22 ივნისი. აქ გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში იტალიის რეკორდი დაამყარა უ. რიზიმ — 8.33,8.

პელეს გუნდს გა

ბრაზილია მესამედ გახდა მსოფლიო ჩემ

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი! ასეთი რანგის შეხვედრა ფეხბურთის განვითარების ისტორიაში გარკვეულ ზღვარს ავლებს, გარკვეულ ეტაპს ქმნის, ამიტომ ძნელია ერთი ხელის მოსმით ლაპარაკი მის მნიშვნელობაზე, მის შინაარსზე და იმ გავლენაზე, რომელსაც იგი მოახდენს ამ თამაშის შემდგომი პროგრესის გზებზე. ჩვენ ყველანი — „აცტეკას" სტადიონზე მყოფი 110 თუ 115 ათასი მაყურებელიც და მსოფლიოს ყველა კუთხეში ტელევიზორებთან მჯდარი უთვალავი გულშემატკივარიც ჯერ კიდევ ბრაზილია — იტალიის გუნდების შესანიშნავი მატჩის ურთულესი პერიპეტიების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშა ვართ. მაგრამ გაივლის ეს ცხელ გულზე გამოწვეული ემოციები, ზედმეტი აჟიოტაჟი, მიმომხილველები და სპეციალისტები შეუდგებიან განვლილ ბრძოლათა დეტალურ ანალიზს და ნათელს მოჰფენენ ჯერჯერობით საიდუმლოებით მოცულ მათს მრავალ მხარეს. მანამდე კი გავიხსენოთ ის, რაც 20 და 21 ივნისს მოხდა მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე.

ფინალი „ბ"

III ადგილი და ბრინჯაოს მედლები, მესამე საფეხური მსოფლიოს საფეხბურთო იერარქიის კიბეზე. ამ საპატიო შედეგისთვის იასპარეზეს ერთმანეთთან 20 ივნისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ურუგვაის გუნდებმა.

ყოველ მსოფლიო ჩემპიონატს მთავარი ფავორიტის — გამარჯვებულის გარდა ჰყავს გუნდი, რომელიც საყოველთაო აღიარებას იმსახურებს თავისი გარკვეული ღირსებებით და თვისებებით. 1970 წლის ჩემპიონატში ასეთი გუნდი, უდავოდ, გფრ-ისა იყო. მან რამდენიმე მატჩი ჩაატარა უმაღლეს სპორტულ დონეზე, მიიპყრო სპეციალისტთა და გულშემატკივართა საყოველთაო ყურადღება.

მართალია, ურუგვაის ნაკრებთან შეხვედრაში გერმანელებმა მიაღწიეს იმ მაქსიმუმს, რომელსაც ფინალი „ბ" იძლევა (III ადგილი), მაგრამ ისინი აშკარად ჩამორჩებოდნენ თავიანთი ადრინდელი თამაშის დონეს ინგლისის, პერუს, ბულგარეთის, იტალიის გუნდებთან. გარდა იმისა, რომ გერმანელებს აკლდათ მეკარე მაიერი და ნახევარმცველი ბეკენბაუერი, იგრძნობოდა, რომ ისეთი დაძაბულობა, რომელიც მათ გადახდათ ამ მატჩამდე, უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. არაქათგამომცლელმა, უმძიმესმა ბრძოლამ საგრძნობლად დაასუსტა ამ გუნდის ძალა.

თამაში თავიდანვე ნელ ტემპში მიმდინარეობდა, თითქოს ორივე მხარე მოლოდინეს როლში იყო და მხოლოდ მეტოქის შეცდომას უცდიდა. ურუგვაელებმა მჭიდრო პერსონალური მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს მოწინააღმდეგის სახიფათო, აგრესიული თავდამსხმელები, არ მისცეს მათ თავისუფალი მოქმედების საშუალება და საერთო უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ მიულერმა მაინც გამოძებნა მომენტი კარში დასარტყმელად. მხოლოდ მაზურკევიჩის ბრწყინვალე ნახტომმა იხსნა კარი გოლისგან.

26-ე წუთზე გერმანელებმა გარღვევაზე გაიყვანეს თავიანთი მარჯვენა გარემარბი ლიბუდა. აქედან ბურთმა იმოგზაურა ასეთი მარშრუტით: ლიბუდა — ზეელერი — მიულერი — ოვერატი. ნახევარმცველმა ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 1:0.

ეს გოლი ურუგვაელებს დამარცხებად და მასთან ერთად III ადგილის დაკარგვადაც დაუჯდათ. მათ ცდა არ დაუკლიათ შეებრუნებინათ მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში და განსაკუთრებით შესვენების შემდეგ გერმანელთა კართან უამრავი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ფონტესს, მანეიროს, მორალესს, კუბილასს ბურთის გატანის ასპროცენტიანი შესაძლებლობანი ჰქონდათ, გფრ-ის ნაკრების კარი ზოგჯერ ბეწვზე ეკიდა მატჩის ბოლო წამებამდე, მაგრამ საპასუხო გოლი არა და არ ჩანდა. გამარჯვება გერმანელებს დარჩათ — 1:0.

ფინალი „ა"

ბრაზილიამაც და იტალიამაც თავიანთი ყველაზე ძლიერი შემადგენლობანი გამოიყვანეს მინდორზე. მათ არ აკლდათ არც ერთი ძირითადი მოთამაშე. ყველა ფორმაში იყო, ყველას შეეძლო ბრძოლა.

მატჩს, რა თქმა უნდა, პრესაში წინ უძღოდა ათასგვარი პროგნოზი, წინასწარმეტყველება, მხარეთა შემფასებელი წერილები. სასწორზე დებდნენ ყველაფერს — ცალკეულ მოთამაშეთა შესაძლებლობებს, რგოლების შეთამაშებას, კოლექტიურ სულისკვეთებას, კანონზომიერებას, შემთხვევითობას, საერთო გარემოცვას, ტრიბუნებს, მწვრთნელთა სტრატეგიულ შორსმჭვრეტელობას და სხვა და სხვა.

გაზეთებში ადგილი აღარ იყო. ჟურნალისტები ისევე ვირტუოზულად ხმარობდნენ სხვადასხვაგვარ ვარაუდებს და შემამკობელ ჰიპერბოლებს თავიანთი ულევი ლიტერატურული არსენალიდან, როგორც პელე, ჟაირზინიო ან რივა ამუშავებდნენ ბურთს მინდორზე. აი, მაგალითად:

„იტალიელებს იგივე მოუვათ, რაც გერმანელებს, რომლებმაც თვითონვე მოამზადეს თავიანთთვის წაგება, როცა ყველაფერი მისცეს ინგლისელთა დამარცხებას. მათ ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობანი". — ასე წერდა ბრაზილიელთა ქომაგი გაზეთი „ესტო".

იტალიური „კორიერა დელა სპორტი" პასუხობდა:

„ჩვენ არა გვჯერა, რომ იტალიის ნაკრების მოთამაშეები სასიკვდილოდ დაიღალნენ და აღარ შეუძლიათ აღიდგინონ ძალები გადამწყვეტი ბრძოლისთვის. შეხმატკბილებული შემტევი კვარტეტი — რივა, მაცოლა, დომენგინი, რივერა, აგრეთვე, ჩვენი შესანიშნავი დაცვა წინ აღუდგებიან ყველაზე მძლავრ სატანკო შეტევასაც კი".

ბრაზილიელები მაინც არ ცხრებოდნენ:

„ვისაც კი ოდესმე უნახავს შეტევისას ისეთი თანავარსკვლავედი, როგორიც პელე, ჟაირზინიო, რიველინო და ტოსტაო არიან, ერთი წუთითაც კი არ გახდის საყოყმანოდ და სათუოდ თავის შეხედულებას".

იტალიელთა მწვრთნელი ფ. ვალკარეჯი რეალურად უყურებდა ძალთა შეფარდებას ფინალურ მატჩში. მან თავისი გუნდის მოთამაშეებს მოუწოდა მისცენ ბრძოლას ყველაფერი, თუ კი რამ გააჩნიათ, არ დაიშურონ იოტის ოდენა ძალაც, იბრძოლონ რაინდულად, ღირსეულად, იბრძოლონ ბოლომდე.

ბრაზილიელთა მწვრთნელს მ. ზაგალოს არ დასჭირებია პათეთიკური სიტყვების თქმა თავის მოთამაშეთა წინაშე. ისინი ისედაც საბრძოლოდ იყვნენ განწყობილი და, ამას გარდა, „აცტეკას" აუდიტორია აშკარად მათ სასარგებლოდ იყო მომზადებული: მეხიკოში უამრავი ბრაზილიელი გულშემატკივარი ჩამოვიდა.

ამ დიპლომატიურ საგაზეთო ბრძოლაში მოაღწია მატჩის დაწყების დღემაც. ტურნირის საუკეთესო მსაჯმა რ. გლეკნერმა (გდრ) მინდორზე უხმო ფინალის მონაწილეებს. გუნდები მინდორზე იმავე შემადგენლობებით გამოვიდნენ, როგორც ნახევარფინალში:

ბრაზილია — ფელიქსი, ალბერტო, ბრიტო, პიაცა, ევერალდო, კლოდოალდო, გერსონი, ჟაირზინიო, პელე, ტოსტაო, რიველინო;

იტალია — ალბერტოზი, ბურგნიჩი, როსატო, სერა, ფაკეტი, ბერტინი, მაცოლა, დომენგინი, დე სისტი, ბონისენია, რივა (შემდგომში ბერტინი შეცვალა ჟულიანომ, ხოლო ბონისენია — **რივერამ**).

მატჩის დასაწყისს ოდნავი სიფრთხილე და ნერვიულობა ეტყობოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რივას მოულოდნელ ყუმბარისებურ დარტყმას, რომელიც ფელიქსმა გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე, მოწინააღმდეგეები თითქოს უთვალთვალებდნენ და ზვერავდნენ ერთმანეთს.

მაგრამ უცებ აფეთქდა პელე-რიველინოს სწრაფი კომბინაცია, შემდეგ ზედიზედ გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე ალბერტო, შუა მინდორზე კომბინაციების ხლართი წამოიწყო გერსონმა და ბრაზილიელები თანდათან გახდნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი. თამაში მიმდინარეობდა მაღალ ტემპში, შეუჩერებლად ე. წ. საფეხბურთო წუნი თითქმის მინიმუმამდე იყო დაყვანილი. როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მოთამაშეები არ კარგავდნენ ბურთს გადაცემებისას. მეტოქეს იგი უვარდებოდა

I ადგილი — ბრაზილია

II ადგილი — იტალია

III ადგილი — გფრ

დალი არა ჰყავს

პიონი

...ლოდ თავგანწირულ საწინააღმდეგო ...მედებათა შედეგად.

...რაზილიელთა უპირატესობა სულ ...რო ცხადი ხდებოდა. იტალიელებმა ...სწარ გაითვალისწინეს, რომ მათი ...ისთვის ბრაზილიელთაგან ყველაზე ...ფათო ფორვარდი იყო ჟაირზინიო, ...რომ პირად დარაჯად მას თვით ...ტი მიუჩინეს, რომელიც უებარ წა... ...ს წარმოადგენს ასეთ შემთხვევებში. ...ტიმ მატჩის პერიოდში თავისი საქ... ...უნაკლოდ შეასრულა, მაგრამ ფ. ...კარეჯიმ ვერ გაითვალისწინა მთა... ...ი — პელეს ამოუწურავი შესაძლებ... ...ბანი. მთელი ფინალური ტურნირის ...ელობაში პელე უკან დაწეულ ფო... ...რდად ჰყავდათ ბრაზილიელებს. იგი ...ევრის შუაგულში მოქმედებდა, იქ ...თებდა ყოველ შეტევას ორგანიზა... ...ს და წინ იშვიათად, იერიშის და... ...ულს თუ გამოდიოდა. ამ მატჩში კი ...ე იმ მახვილის წვერს წარმოადგენ... ...რომელსაც განუწყვეტლივ დაძაბუ... ...ობაში ჰყავდა იტალიელთა მთელი ...ვა. პელე, ადრინდელი საფეხბურთო ...ურკინდი, ნამდვილ ტაქტიკურ ბრძე... ...ე იქცა და ბრწყინვალედ ასრულებ... ...როგორც ჯამთამაშებლის, ისე ბომ... ...დირის როლს. მართალია, ზოგიერ... ...მისი დარტყმა, განსაკუთრებით სა... ...რიმო, კარს დიდი დაშორებით სცდე... ...და, მაგრამ პელეს წინააღმდეგ ბრძო... ...აშკარად აღემატებოდა იტალიელ... ...დაცვის პრაქტიკულ შესაძლებლო... ...ბ.

...იყო თამაშის კიდევ ერთი მხარე, ...მელმაც მნიშვნელოვანი როლი შეას... ...ლა მის საბოლოო შედეგში. ფაკე... ...მ ჩაკეტა ჟაირზინიო, მაგრამ თვი... ...ნ მხოლოდ დამამსხვრეველი მცვე... ...ს მოვალეობას ასრულებდა და შე... ...ვაში ვერავითარ დახმარებას ვერ ...ევდა თავდამსხმელებს. ამ დროს ...ლოს ალბერტო სისტემატურად შე... ...ოდა იქ, სადაც ჩვეულებრივ ჟაირ... ...ნიო იწყებს ხოლმე იერიშებს და ...თ ბურთებს აწვდიდა ალბერტოზის ...ის წინ, რომ მათ მოგერიებას რამ... ...ნიმე მცველი უნდებოდა. ასეთ მო... ...ტებში რიგას მეთვალყურეობას ალ... ...რტოს სხვა რომელიმე პარტნიორი ...ებდა ხოლმე თავის თავზე.

...ბრაზილიელთა უპირატესობა გო... ...თ აღინიშნა მე-19 წუთზე. აუტიდან ...წოდებული ბურთი ცენტრში იქნა ...თამაშებული და მან პელემდე მი... ...წია. პელემ მაღალ ნახტომში თავით ...ზავნა იგი ბადეში — 1:0.

(დასასრული მე-4 გვ.)

...ამიერიდან — „ფიფა-ს თასი"

...ამრიგად, გამარჯვების ქალღ... ...ერთ ნიკეს თასი, რომლის გუ... ...ისთვისაც 40 წლის განმავლო... ...ში იბრძოდნენ მსოფლიოს სა... ...ეთესო საფეხბურთო გუნდე... ...ა ბრაზილიელთა მუდმივი ...კუთრება გახდა და ჩამოსცი... ...და ასპარეზს.

...გაცხოველებული დავა იყო ...ის თაობაზე, თუ რა უნდა შე... ...ქმნოდა ახალ პრიზს, რომე... ...იც ოქროს ქალღმერთის ნაც... ...ად დაწესდებოდა მსოფლიო ...მპიონატში გამარჯვებული გუ... ...დისთვის. ფეხბურთის საერთა... ...რისო ფედერაციამ დაადგინა ...ალ პრიზს ეწოდოს საფეხბუ... ...თო ასოციაციათა მსოფლიო ...ასი, ანუ შემოკლებულად ...ფიფა-ს თასი".

...ფინალისტები ...რთ ...ნქარიეში







1958 წ. სტოკჰოლმი. ბრაზილიის ნაკრები პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ჟიულ რიმეს თასი — ოქროს ქალღმერთი 4 წლით მიემგზავრება შორეულ ქვეყანაში. ბრაზილიელები ემოციებს აჰყვნენ, გრძნობების ტყვეობაში მოექცნენ. გამარჯვება, სიხარული, ცრემლები — ამ დაუვიწყარმა მომენტმა ყველაფერი ერთ დიდ ბედნიერებად აქცია, ბედნიერებად, რომელსაც მთელი ბრაზილია ასე მოუთმენლად ელოდა.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნივ): ნაკრების დებიუტანტს, 18 წლის პელეს ყველაზე ადრე უმტყუნა ნერვებმა. თანაგუნდელები, რომლებიც მზად არიან თვით აქვითინდნენ, ამშვიდებენ მას (მარცხნიდან) დიდი, პელე, ჟილმარი და ორლანდო.

1962 წ. სანტ-იაგო. მსოფლიო ჩემპიონმა დაიმტკიცა უმაღლესი ტიტული. იგი უკვე უფლებამოსილი გვირგვინოსანია და ამ დიდ გამარჯვებას ღირსეულადაც იფერებს.

ს უ რ ა თ ზ ე: ბრაზილიელთა კაპიტანი მაურო საპატიო ჯილდოთი ხელში მადლობას უხდის გულშემატკივრებს, რომლებმაც გულწრფელად იზეიმეს ოქროს გუნდის ახალი წარმატება.

„ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა,
მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისთვის". („ოტელო").

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. ბრაზილია	6	6	0	0	19—7	12
2. იტალია	6	3	2	1	10—8	8
3. გფრ	6	5	0	1	17—10	10
4. ურუგვაი	6	2	1	3	4—5	5
5. სსრ კავშირი	4	2	1	1	6—2	5
6. მექსიკა	4	2	1	1	6—4	5
7. პერუ	4	2	0	2	9—9	4
8. ინგლისი	4	2	0	2	4—4	4
9. შვეცია	3	1	1	1	2—2	3
10. რუმინეთი	3	1	0	2	4—5	2
11. ბელგია	3	1	0	2	4—5	2
12. ისრაელი	3	0	2	1	1—3	2
13. ბულგარეთი	3	0	1	2	5—9	1
14. მაროკო	3	0	1	2	2—6	1
15. ჩეხოსლოვაკია	3	0	0	3	2—7	0
16. სალვადორი	3	0	0	3	0—9	0

ყველა გოლი

IX მსოფლიო ჩემპიონატის 32 მატჩში გატანილ იქნა 95 გოლი. აი, ამ გოლების ავტორები:

1. მიულერი (გფრ) — 10
2. ჟაირზინიო (ბრაზილია) — 7
3. კუბილასი (პერუ) — 5
4. პელე (ბრაზილია) — 4
5. ბიშოვეცი (სსრ კავშირი)—4
6. ზეელერი (გფრ) — 3
7. რიველინო (ბრაზილია) — 3
8. რივა (იტალია) — 3

2-2 ბურთი გაიტანეს — გალარდომ (პერუ), ვან მურმა, ლამბერტმა (ორივე — ბელგია), პეტრაშმა (ჩეხოსლოვაკია), დომენგინიმ, რივერამ, ბონინსენიამ (ყველა — იტალია), დუმიტრაკემ (რუმინეთი), ვალდივიამ (მექსიკა), ტოსტაომ (ბრაზილია).

თითო ბურთი — დერმენჯიევმა, ბონევმა, ნიკოდიმოვმა, კოლევმა, ჟეჩევმა (ყველა — ბულგარეთი), ჩუმპიტასმა, ჩალემ (ორივე — პერუ), მანეირომ, მუიკამ, ესპარაგომ, კუბილამ (ყველა — ურუგვაი), ჰერსტმა, კლარკმა, მიულერიმ, პიტერსმა (ყველა — ინგლისი), ხუმანმა, მახუბიმ (ორივე—მაროკო), ასათიანმა, ხმელნიცკიმ (ორივე — სსრ კავშირი), ნიაგუმ, დემბროვსკიმ (ორივე — რუმინეთი), ფრაგოსომ, ბასაგურენმა, პენიამ, გონსალესმა (ყველა — მექსიკა), ლიბუდამ, ბეკენბაუერმა, შნელინგერმა, ოვერატმა (ყველა — გფრ), ტურესონმა, გრანმა (ორივე — შვეცია), შპიგლერმა (ისრაელი), ბურგნიჩმა (იტალია), კლოდოალდომ, გერსონმა, კარლოს ალბერტომ (ყველა—ბრაზილია).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: გ. მიულერი.

ბრაზილია მესამედ გაზდა მსოფლიო ჩემპიონი

დასასრული

ცხადი იყო, რომ თამაშის საერთო მიმდინარეობით, ცალკეულ ფეხბურთელთა კლასით იტალიელები ჩამორჩებოდნენ თავიანთ მრისხანე მეტოქეს. მათ ერთი გამოსაკალი რჩებოდათ მხოლოდ: მაქსიმალური აქტივობა, ბრძოლა მინდვრის ყოველ წერტილში, ბრაზილიელთა ამოგდება ჩვეული კალაპოტიდან. გუნდმა ეს გარკვეულ ეტაპზე შეძლო, როცა მკვეთრად მოუმატა ტემპს, გამოიყენა მოპირდაპირე მცველთა შეცდომა, ფელიქსის უდროო წინ გამოსვლა და ბონისენიამ ზუსტად დაარტყა კარში — 1:1.

მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდი იყო. შესვენების შემდეგ ბრაზილიელები უშეცდომოდ თამაშობდნენ, მოწინააღმდეგე ფეხბურთელებს ზოგჯერ არც აკარებდნენ ბურთს და შეტევა შეტევაზე ტალღებივით მიჰქონდათ იტალიელთა კართან. 67-ე წუთზე ჟაირზინიო გაექცა ფაკეტის, გადააწოდა გერსონს ბურთი და ამ უკანასკნელმა შორი მანძილიდან ძლიერად, გამოზომილად დაარტყა — 2:1.

71-ე წუთზე გათამაშდა კომბინაცია გერსონი-პელე-ჟაირზინიო. 3:1. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ალბერტომ ეროხელ კიდევ შეასრულა თავისი რეიდი. მანამდე კომბინაცია გაითამაშეს ჟაირზინიომ და პელემ. ამ უკანასკნელმა ზუსტად დაუსვა ბურთი ფეხზე ალბერტოს — 4:1.

ბრაზილიის ნაკრების გამარჯვება ამ მატჩშიც და მთელ ჩემპიონატშიც დამსახურებულია. პელეს გუნდს ბადალი არ ჰყავდა 16 ფინალისტს შორის. მან მექსიკის სტადიონებზე აჩვენა შემოქმედებითი, შემტევი, სანახაობრივად ულამაზესი, უმაღლესი კლასის ფეხბურთი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ოქროს ქალღმერთის სამუდამო მფლობელობაში მიღება ბრაზილიელთათვის სამართლიანი და ღირსეული ჯილდოა.



კარგი სტიმულატორი

დასასრული

კინა (პირადი) — 2.28,5, ნ. ბეზუმენკო (ორიგე — თბილისი)—2.28,6, ო. სუვოროვა (ახალციხე) — 2.30,8; **1500 მ.** ბეზუმენკო—5.05,3, ნ. ვინოგრადნა (სამტრედია) — 5.15,6, ნ. მოგილიოვა (ახალციხე)— 5.19,5; **200 მ თარჯრბენი.** ალიაკრინსკაია — 30,4, ლ. ნაზარიკოვა— 31,4, ნ. პაპიკიანი (ორიგე — თბილისი)—35,5; **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 50,5, აფხაზეთი — 51,4, ქუთაისი — 52,7; **4×400 მ.** თბილისი — 4.12,4, აფხაზეთი — 4.22,5; **სიგრძეზე ხტომა.** შმაკოვა — 540, კურენია — 537, რ. იუნუსუბა (აფხაზეთი) — 532; **სიმაღლეზე ხტომა.** ხრიპკო — 160, კურენია — 155, გ. პოლიაკოვა (თბილისი) — 150; **ბადროს ტყორცნა.** ლაბაძე — 44,68, ო. შტუკატუროვა — 36,05, მ. შეროზია (ორიგე — აჭარა) — 35,40; **შუბის ტყორცნა.** ნ. სოსნოვიკოვა (აფხაზეთი) — 37,56, ა. ჯიოევა — 33,40, ვ. გაგლოევა (ორიგე — სამხრეთ ოსეთი) — 32,50; **ბირთვის კვრა.** ხრიპკო — 11,88, შეროზია — 11,44, შტუკატუროვა — 11,34; **ხუთჭიდი** — ე. ყარდაშოვა (აჭარა) — 3719, ნ. სტეპანოვა — 3679, დ. აბზიანიძე (ორიგე — ქუთაისი) — 3282.

ჰაბუკები. **რბენა. 100 მ.** გოგაური — 11,0, ლოვჩი — 11.2, დ. მელაძე (თბილისი) — 11,3; **200 მ.** ლოვჩი — 23,2, მელაძე — 23.3, ვ. ბერეკნოი (აჭარა) — 23,3; **400 მ.** კირპიჩენკო — 51,7, გ. ვაშალომიძე (მახარაძე) — 52,6, ფ. ჰანკოვი (აფხაზეთი) — 52,7; **800 მ.** ა. გოლოვინი (აფხაზეთი) — 1.59,8, გ. ტემჩინი (თბილისი) — 2.05.4, ვაშალომიძე — 2.05,4; **1500 მ.** გოლოვინი — 4.08,5, ტემჩინი—4.09,1, გ. ბიბილოვი (სამხრეთ ოსეთი) — 4.24,7; **3000 მ.** ი. არჯევანიძე (თბილისი) — 9.21,2. ნ. სიდოროვი (ქუთაისი) — 10.14,4, ს. კოპეკუსკი (თბილისი, პირადი) — 10.20,4; **5000 მ.** ბიბილოვი — 17.06.4, გ. გოგოლაური (გარდაბანი)—17.36,8, ა. აშკალოვი (წალკა) — 18.14,2; **110 მ თარჯრბენი** (საშუალო ასაკი). ვ. რიაბინსკი (თბილისი) — 16,6, ა. ქურცუა (ჩოხატაური) — 16,9, ე. სემიონაშჩევი (თბილისი, პირადი) — 18,2; (უფროსი ასაკი). აბუაშვილი — 15,2, შ. ვეშაგურიძე (ახმეტა) — 15,6, კ. ტუკვაძე (ქუთაისი) — 15,7; **400 მ თარჯრბენი.** ტუკვაძე — 1 წუთი, ქურცუა — 1.00,4, ა. ჩიქოვანი (აფხაზეთი) — 1.01,4; **5 კმ სპორტული სიარული.** ვ. ვალჩასკი (ქუთაისი) — 26 წუთი, გ. ბაგიროვი — 26.43,0, დ. შაბურიშვილი (ორიგე — თბილისი, პირადი) — 27 წუთი; **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 44,3, აფხაზეთი — 44,8, ქუთაისი — 45,7; **4×400 მ.** თბილისი — 3.32,4, აფხაზეთი — 3.33,6, ქუთაისი — 3.39,6. **შუბის ტყორცნა** (საშუალო ასაკი). ნ. სუხიტაშვილი — 53,28; ვ. ქაფიანშვილი (ორიგე — თბილისი, პირადი) — 53,08, გ. გუსოევი (სამხრეთ ოსეთი) — 51,92; (უფროსი ასაკი). პ. მოზგოვოი — 56,46, ნ. ორფანოვი (ორიგე—თბილისი, პირადი)—55 მ, ა. მოკლოზიანი (აფხაზეთი) — 54,16; **ბადროს ტყორცნა** (საშუალო ასაკი). ვ. შეტიშვილი — 44,76, გ. ბედოშვილი (ორიგე — თბილისი, პირადი) — 42,12, გ. ჭაფარაძე (მესტია) — 40,04; (უფროსი ასაკი). ფ. ზარანდია (ზუგდიდის რაიონი) — 36,14, ზ. ლორია (სამტრედია) — 36,06, რ. ევგენიძე — 34,60; **ბირთვის კვრა** (საშუალო ასაკი). ლ. ხმელიძე (მახარაძე) — 13,46, ნ. ქესაშვილი (ხაშური) — 13,38, ო. არისტოვი (ახმეტა) — 13,28; (უფროსი ასაკი). გ. კოზირევი — 12,08, ევგენიძე (ორიგე — თბილისი) — 11,96, ზარანდია — 11,74; **უროს ტყორცნა** (საშუალო ასაკი). ნ. გრიგორიადისი (თბილისი) — 50,88, ს. ცხოვრებოვი (სამხრეთ ოსეთი) — 46,14, გ. ელაშვილი (თბილისი, პირადი) — 45,18; **სიმაღლეზე ხტომა.** პრესნოვი — 195, ვ. პლიევი (თბილისი)— 180, ა. მალევი (აჭარა) — 180; **სიგრძეზე ხტომა.** ა. ვლასოვი (თბილისი) — 685, ვეშაგურიძე — 670, ლ. ხლიბოვი (აფხაზეთი) — 665; **სამხტომი.** ვლასოვი — 14,35, ვ. სოროკინი — 13,33, ვ. ლემეშკო (ორიგე — თბილისი, პირადი) — 12,77; **ჭოკი.** ს. მანეუკოვი — 380, გ. კალანდი — 350; **რვაჭიდი.** ორდენიძე—4503, ა. ბოგდანოვი (თბილისი) — 4364, ბ. მეტრეველი (ონი) — 4332; **ათჭიდი.** ი. რიმარი — 6292, ვ. პანოვი (აფხაზეთი) — 5825.

გუნდური. I ჯგუფი. თბილისი— 457 ქულა, აფხაზეთი — 186, ქუთაისი — 99; II ჯგუფი. სამტრედია — 22, მახარაძე — 21, ხაშური და გარდაბანი — 19-19.



II ზონა

2 მატჩი, 2 გამარჯვება

ბათუმში — 2:0

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 21 ივნისი.

„დინამო“ (ბათუმი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 2:0 (1:0).

„დინამო“: პავლოვი, ჩხაიძე, წივწივაძე, სირბილაძე, გაგუა, ილურიძე, მაჩხელიანი, ვაჟა კვიტაიშვილი, ვახტანგ კვიტაიშვილი (ჭანტურია), გიორგიადი, რამიშვილი.

„ფოლადი“: მატიკინი, ალიევი, ანდრეევი, ოთაროვი, ილჩენკო, ყულიევი, მამედოვი, ამოსოვი, ლობაჩოვი, ჰუსეინოვი, ბაგიროვი.

მსაჯი ო. ბეგოიანი (ლენინაკანი).

კოკისპირული წვიმის შემდეგ სათამაშო მინდორი ნაკლებად გამოსადეგი იყო ფეხბურთისთვის. თუმცა ორივე გუნდი მაინც აქტიურად ჩაება გამარჯვებისთვის ბრძოლაში. აქ მასპინძლებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, რაზეც თუნდაც ის მეტყველებს, რომ პირველი 20 წუთის განმავლობაში მათ მოწინააღმდეგის კართან 6 კუთხური მოაწოდეს ისე, რომ მათ მხარეს ერთიც არ დანიშნულა. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, 38-ე წუთზე, შორი დარტყმით ანგარიში გახსნა სირბილაძემ.

ასეთივე უპირატესობა ჰქონდათ დინამოელებს შესვენების შემდეგ და როცა უკვე მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. ილურიძემ ბუთიოდე მეტრიდან გოლით დაამთავრა პარტნიორების მიერ გათამაშებული კომბინაცია — 2:0.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით).

გორში — 5:1

გორი. ქალაქის სტადიონი. 21 ივნისი.

„დილა“ (გორი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 5:1 (3:1).

„დილა“: ჩლაიძე (ყირვალიძე), კოზინი, კობიაშვილი, გლოვადსკი, ნასარიძე (ამბრიაშვილი), ჩიტაური, ჭეიშვილი, ეზუბაია (კონიაშვილი), კაპანაძე, პაპიაშვილი, მაღრაძე.

„დინამო“: ბალაშოვი, კონოვალოვი (იბრაჰიმოვი), შუალგინი, გერასიმენკო, ვაშჩენკოვი, მაიორსკი, გალკინი, გ. მანტაევი, ალიოშინი, ვალიავსკი, ეფრემოვი (ა. მანტაევი).

მსაჯი გ. შირინიანი (ერევანი).

გორის „დილა“ და მახაჩყალის „დინამო“ თვლი სპორტული მეტოქეები არიან ჯერ კიდევ „ბ“ კლასიდან და ამიტომ მათს ბრძოლას განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ისინი ახლაც ერთმანეთის მახლობლად იმყოფებიან გათამაშების ცხრილში.

გორელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან ისეთი შეტევები განავითარეს, რომ ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს მოწინააღმდეგეს. უკვე მე-8 წუთზე პაპიაშვილმა ანგარიში გახსნა. ათიოდე წუთის შემდეგ მაღრაძემ მეორედ აიძულა დინამოელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და მალე სადემონსტრაციო დაფაზე 3:0 ეწერა „დილის“ სასარგებლოდ (პაპიაშვილი). ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა სტუმრებმა შეძლეს ტაიმის დასასრულს (ალიოშინი).

მდგომარეობა არ შეცვლილა შესვენების შემდეგაც. მახაჩყალელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. რომელიც კარგად ეჭნა გათამაშებული და დამთავრებული კობიაშვილის ზუსტი დარტყმით — 4:1. მცირე ხანში „დინამოს“ კარში დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა მაღრაძემ (ბურთი აიღო ბალაშოვმა). მაგრამ ბოლო წუთებზე იმავე მაღრაძემ გამოასწორა თავისი „დანაშაული“ — 5:1.

გ. გოზალიშვილი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების I კურსზე.

ინსტიტუტი ამზადებს ფიზიკურდრდის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს (სპორტის სახეობათა მიხედვით). დღის ფაკულტეტებზე სწავლის ვადა 4 წელია, დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე — 5 წელი.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 31 ივლისამდე ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით, და დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. დახასიათება-რეკომენდაცია, რომელიც გაიცემა ბოლო სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის. ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი) პარტიული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე, საწარმოო-დაწესებულებების ხელმძღვანელობისა და კოლმეურნეობის გამგეობის (კოლმეურნეთათვის) მიერ. სკოლადამთავრებულებს დახასიათება-რეკომენდაციას აძლევენ სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

2. საშუალო განათლების საბუთი (დედანი).

3. 3×4 სმ ზომის 4 ფოტოსურათი.

4. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის არჩეულ სახეობაში.

5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოო-დაწესებულებათა მიერ, კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დამოწმებული ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნიდან. რომელშიც ცალცალკე უნდა იყოს მითითებული შრომადღეების დაწესებული მინიმუმი ბოლო ორ წელიწადში.

6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

7. პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თანამდებობიდან სამხედრო ვალდებულებმა) ან მიწერის ცნობა (გასაწვევი ასაკის პირებმა).

მისაღები გამოცდები ტარდება 1-20 აგვისტოს შემდეგ საგნებში:

ა). ფიზიკაში (ზეპირი).

ბ). ქიმიაში (ზეპირი).

გ). ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის.

დ). რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის.

ე). სპეციალობაში (სპორტის არჩეული სახეობა, აგრეთვე, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა).

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიითა და სპორტული ფორმით (დადგენილი წესის მიხედვით).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღები კომისიის სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

რექტორატი.

საქსაკრეზოდ — ლიეკაიაში

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა პირველობა მუდამ მიმზიდველი და დაძაბულია. ეს, რა თქმა უნდა, შეჯიბრებაში უძლიერესი დიდოსტატებისა და ოსტატების მონაწილეობით აიხსნება. როგორც ჩანს, წლევანდელი პირველობაც საინტერესო იქნება. მოსალოდნელია, რომ სარბიელზე გამოვლენ დიდოსტატი დ. ბრონშტეინი, „დინამოს“ შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული ოსტატი ვ. ჟერავლიოვი და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები. საქართველოდან მიწვეული არიან საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე, ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი, ი. ჩიქოვანი და ა. ბუსლაევი.

პირველობა ჩატარდება ლიეპაიაში (ლატვია) 29 ივნისიდან 23 ივლისამდე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8. უე 03298